ნორმატიულ-სამართლებრივი აუდიტის პრიორიტეტები და პროცედურები

დანიელ ბერკამი, **CPA, CDP**

სატარიფო ბაზის საფუძვლები

სატარიფო ბაზა

- კომუნალური კომპანიის სატარიფო ბაზა არის კაპიტალის ინვესტიცია, რომელიც გამოიყენება აბონენტებისათვის მომსახურების მისაწოდებლად.
- კაპიტალდაბანდებაზე ამონაგების კოეფიციენტის სამართლიანი სიდიდე მრავლდება ყველა კაპიტალდაბანდებაზე ისე, რომ მივიღოთ ოპერაციებიდან მიღებული სუფთა სავალდებულო შემოსავალი.
- სატარიფო ბაზის გაანგარიშების დროს, ჩვეულებრივ, შემდეგი ელემენტები გამოიყენება:
  - ექსპლუატაციაში არსებული ობიექტი
  - სამუშაო კაპიტალი
- მიჩიგანი იყენებს 13 თვის საშუალოს, რომ მიიღოს ექსპლუატაციაში არსებული ობიექტისა და სამუშაო კაპიტალის სალდოები, რომლებიც შემდგომ უნდა შევიდეს სატარიფო ბაზაში.

ექსპლუატაციაში არსებული ობიექტი

- ინვესტორები კაპიტალდაბანდებაზე ამონაგებს იღებენ როგორც ელექტროსადგურში, ისე ელექტროსადგურის დაბანდებიდან.
- ექსპლუატაციაში არსებული ობიექტი შედის სატარიფო ბაზაში, როგორც აკუმულირებული ნარჩენი ღირებულება.
- ექსპლუატაციაში არსებულ ობიექტში შეიძლება შევიდეს შემდეგი :
  - ობიექტი მომავალში გამოსაყენებლად
  - ელექტროსადგურის მშენებლობა დასრულდა კლასიფიკაციის გარეშე
  - მიმდინარე მშენებლობა (CWIP)
- მიჩიგანი ნებას იძლევა, რომ მომავალში გამოსაყენებელი ობიექტი შეტანილი იქნეს სატარიფო ბაზაში.
- მიჩიგანი ასევე ნებას იძლევა, რომ მიმდინარე მშენებლობა შევიდეს სატარიფო ბაზაში.

ექსპლუატაციაში არსებული ობიექტი

- ზოგიერთი საკითხი, რომელზეც ყურადღება უნდა გავამახვილოთ ექსპლუატაციაში არსებული სადგურის აუდიტის დროს:
    - შეამოწმეთ პროექტით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი გაფართოებები.
    - შეამოწმეთ ელექტროსადგურის ბალანსები - როგორც ამჟამინდელი, ასევე წარსულისაც, რათა დაადგინოთ ელექტროსადგურში მომხდარი ინვესტიციების ტენდენციები.
    - შეამოწმეთ ბიუჯეტი, რათა გაერკვეთ კაპიტალურ დანახარჯებში.
    - სთხოვეთ კომპანიას, დაგისახელოთ სადგურში ყველა სერიოზული აქტივი, რომელიც ჩამოიწერა.
    - დარწმუნდით იმაში, რომ სადგურის აქტივების ჩამოწერა ასახულია სწორად - როგორც სატარიფო ბაზის შემცირება.
    - დარწმუნდით იმაში, რომ კომპანია სწორ ისტორიულ ბალანსს იყენებს საწყის წერტილად.
    - სთხოვეთ კომპანიას, დაგისახელოთ სადგურში ყველა მნიშვნელოვანი აქტივი, რომელიც ჩამოიწერა.

ცვეთა

- მიჩიგანში კომისია ადგენს ცვეთის კოეფიციენტებს.
- შეამოწმეთ, გამოყენებულია თუ არა კომისიის მიერ დამტკიცებული კოეფიციენტები და რამდენად ზუსტადაა გამოთვლილი ცვეთის ხარჯები.
- თუ ექსპლუატაციაში არსებული ობიექტის ბალანსში კორექტირებაა შესული, სარეზერვო და ცვეთის ხარჯები უნდა შეიცვალოს.
- დარწმუნდით იმაში, რომ ელექტროსადგურის ჩამოწერილი აქტივები სარეზერვო ბალანსიდან მოხსნილია.

კაპიტალდაბანდებაზე ბეგარის შეღავათები (AFUDC)

- ბეგარის შეღავათები არის შეღავათები მშენებლობისათვის გამოყენებულ სესხზე და განისაზღვრება, როგორც ნასესხები თანხებით მშენებლობის პერიოდში გაღებული სუფთა ხარჯი და როგორც გონივრული საპროცენტო განაკვეთი სხვა თანხებზე, რომლებიც ამ მიზნით გამოიყენება.
- შეიძლება იყოს ვალისა და საკუთარი კაპიტალის კომბინაცია
- თუ ნებადართულია CWIP-ის ბაზურ ტარიფში შეტანა, AFUDC-ის დარიცხვა არ უნდა ხდებოდეს.
- თუ არაა ნებადართული CWIP-ის სატარიფო ბაზაში შეტანა, AFUDC უნდა დაირიცხოს, სანამ ობიექტი დასრულდება და ექსპლუატაციაში შევა.
- აუდიტი უნდა გაეცნოს კომპანიის მიერ AFUDC-ის გაანგარიშებებს.

სამუშაო კაპიტალი

- სამუშაო კაპიტალით იზომება ინვესტორის მიერ დაფინანსებული ყოველდღიური ოპერაციების ხარჯები და სხვადასხვა კაპიტალდაბანდება, რომლებიც უშუალოდ ობიექტის მუშაობასთან არაა დაკავშირებული, მაგრამ აუცილებელია კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირებისათვის.
- შეტანილია სატარიფო ბაზის გამოთვლებში.
- სამუშაო კაპიტალის გამოთვლის სამი მეთოდი არსებობს:
  - ფორმულით
  - საბუღალტრო ბალანსით
  - ნაადრევ-ნაგვიანევის კვლევით
- სამუშაო კაპიტალის გამოანგარიშებაში მიჩიგანი იყენებს საბუღალტრო ბალანსის მეთოდს. ეს მეთოდი იყენებს მიმდინარე და დარიცხული აქტივების 13 თვის საშუალოს და ადარებს მიმდინარე და დარიცხულ უპროცენტო პასივებს.

სამუშაო კაპიტალის აუდიტი

- ზოგიერთი საკითხი, რომელზეც ყურადღება უნდა გავამახვილოთ სამუშაო კაპიტალის აუდიტის დროს:
    - დარწმუნდით იმაში, რომ სამუშაო კაპიტალის ანგარიშის ბალანსში შეტანილი არაა შემოსავალი, რომელიც კომპანიასთან არაა დაკავშირებული.
    - დარწმუნდით იმაში, რომ სამუშაო კაპიტალის ანგარიშის ბალანსში შეტანილი არაა არაოპერაციული ელემენტები.
    - დარწმუნდით იმაში, რომ სამუშაო კაპიტალის ანგარიშის ბალანსში შეტანილი არაა პროცენტიანი ელემენტები.
    - სთხოვეთ კომპანიას, რომ გიჩვენოთ გადავადებული დებიტებისა და კრედიტების დეტალური ანგარიში.
    - დაადასტურეთ საბუღალტრო საკითხების მარეგულირებელი ორგანოსა და კომისიის ბრძანება რეგულირებადი აქტივებისა და პასივებისათვის.

ტარიფის განხილვის საქმის პრიორიტეტები: ოპერაციებთან და მიმდინარე რემონტთან დაკავშირებული ხარჯები

ოპერაციებისა და მიმდინარე რემონტის ხარჯები

კატეგორიები:

- წარმოება
- განაწილება
- აბონენტთა ანგარიშები
- მომხმარებელთა მომსახურება
- გაყიდვები
- ადმინისტრაციული და ზოგადი

ჩვეულებრივ, სხვა თანამშრომლები ამოწმებენ: ინჟინრები

ჩვეულებრივ, ჩვენი სექცია ამოწმებს: აუდიტები

ადმინისტრაციული და ზოგადი ხარჯები

- ადმინისტრაციულ და ზოგად ხარჯებში შეტანილი ზოგი შესწორებაა:
  - ხარჯები, რომლებიც ვერ ანაზღაურდება
  - დაშავება და დაზიანება
  - პოლიტიკური და საქველმოქმედო შენატანები
  - რეკლამა
  - წამახალისებელი კომპენსაციები
  - არაკვალიფიციური საპენსიო გეგმები
  - ხარჯები, რომლებიც კომისიამ გამორიცხა ტარიფის განხილვის წინა საქმიდან

ადმინისტრაციული და ზოგადი ხარჯები

- ხარჯები, რომლებიც ვერ ანაზღაურდება
  - სთხოვეთ კომპანიას, მოგაწოდოთ ყოველთვიური ჩამოწერების, შეგროვებისა და გაყიდვების ანგარიშები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში
  - ჩამოწერების სამი-ხუთი წლის საშუალო პროცენტს გამოკლებული გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი:
  - არაანაზღაურებადი პროგნოზული ხარჯების გამოთვლა კომპანიას მრავალი სხვადასხვა მეთოდით შეუძლია
  - არაანაზღაურებადი ხარჯების გამოთვლის დროს ჩვენი თანამშრომლები, ჩვეულებრივ, იყენებენ შემდეგ ფორმულას:
    - (ჩამოწერილს - შეგროვებული) / შემოსავალი გაყიდვებიდან

ადმინისტრაციული და ზოგადი ხარჯები

- ხარჯები დაშავებასა და დაზიანებასთან დაკავშირებით:
  - ჩვენი თანამშრომლები, ჩვეულებრივ, იყენებენ 3-5 წლის საშუალოს.
  - შეამოწმეთ, ბოლო 3-5 წლის განმავლობაში დაზღვევიდან მიღებული კომპენსაცია თუ გამოაკლდა ხარჯებს.

ადმინისტრაციული და ზოგადი ხარჯები

- პოლიტიკური და საქველმოქმედო შენატანები:
  - პოლიტიკური ლობიზმი და შენატანები არ უნდა შევიდეს ხარჯებში
  - საქველმოქმედო შემოწირულობებზე შეღავათები არ ვრცელდება

ადმინისტრაციული და ზოგადი ხარჯები

- რეკლამის ხარჯები:
  - შეამოწმეთ, რეკლამის ხარჯები პოლიტიკური მოტივით ხომ არ მოხდა (სუფთა ჰაერი, პლასტის ჰიდროგახლეჩა, დერეგულირება და ა. შ.).
  - არ დაიშვება პოლიტიკური რეკლამის გათვალისწინება.

ადმინისტრაციული და ზოგადი ხარჯები

- წამახალისებელი კომპენსაციები:
  - მოკლე და გრძელვადიანი პრემიები
  - მოიშველიეთ კომისიის მიერ ადრე გამოცემული ბრძანებები თანამშრომელთა წამახალისებელი კომპენსაციების პოზიციების შესახებ.
  - შეამოწმეთ, თუ რა საზომ ერთეულებს იყენებს კომპანია წამახალისებელ ღონისძიებებში. ფინანსური ხასიათი აქვს? უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული? ფინანსური ხასიათის საზომ ერთეულებზე შუბლს იჭმუხნიან.
  - შეამოწმეთ დირექტორთა საბჭოს კრების პროტოკოლები და ასევე კომპენსაციების კომიტეტის კრების პროტოკოლები.
  - ზღურბლი: ტარიფის გადამხდელების შეღავათები მეტი ხომ არ არის წამახალისებელ ღონისძიებებზე?

ადმინისტრაციული და ზოგადი ხარჯები

- არაკვალიფიციური საპენსიო გეგმები:
  - ჩვეულებრივ, არ დაიშვება საპენსიო გეგმების შეთავაზება მცირერიცხოვანი მაღალანაზღაურებადი თანამშრომლებისათვის

ადმინისტრაციული და ზოგადი ხარჯები

- ადრე არ შედიოდა შემდეგი ხარჯები:
  - სთხოვეთ კომპანიას, მოგაწოდოთ ყველა იმ ხარჯის სია, რომლებიც შეტანილია მიმდინარე განაცხადში, და რომლებიც წინა ტარიფის სრული განხილვის შედეგად კომისიამ არ შეიტანა ხარჯებში. ზოგიერთი მათგანი შეიძლება იყოს:
    - აქციების ყიდვის ნება/ოპციონი
    - ეფექტური მუშაობისათვის აქციებით დასაჩუქრება
    - შეზღუდული აქციები (მხოლოდ თანამშრომლებს)
    - გეგმებით თანამშრომელთა დასაჩუქრება
    - თანამშრომელთა დამატებითი საპენსიო გეგმა
    - აღმასრულებლების დამატებითი საპენსიო გეგმა
    - პრემიული აქციების დივიდენდები
    - აღმასრულებელთა სხვა შეღავათები (მანქანის ლიზინგი, მძღოლები, ბილეთები, უშიშროება და ფასდაკლებები აღმასრულებლებისათვის (თითოეული ტიპის აღწერა და შესაბამისი ხარჯები) და ა. შ.)

ადმინისტრაციული და ზოგადი ხარჯები

- კიდევ სხვა ელემენტები, რომლებიც შეიძლება მხედველობაში მივიღოთ:
  - თანამშრომელთა რაოდენობის შემცირება
    - შეამოწმეთ თანამშრომელთა რაოდენობის შემცირების გეგმები.
  - აფილირებულ მხარეებთან ტრანსაქციები
    - შეამოწმეთ ტრანსაქციები აფილირებულ მხარეებთან ანუ კომპანიასა და მის პარტნიორ კომპანიებთან - ხარჯები გაბერილი ხომ არ არის
  - მნიშვნელოვანი ან უჩვეულო სააღრიცხვო ობიექტები
    - სთხოვეთ კომპანიას, გიჩვენოთ კომპანიათაშორისი მემორანდუმები მნიშვნელოვანი ან უჩვეულო სააღრიცხვო ობიექტების/ელემენტების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ადრე, საპროექტო სატესტო წლის განმავლობაში

ადმინისტრაციული და ზოგადი ხარჯები

შეკითხვები?